ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია”

ქ. თბილისი, ნიკოფორე ირბახის ქ. №17, საოფისე შენობა
ს/კ 01.17.01.050.029

კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე

დირექტორი ვ. მახვილაძე

შეადგინა ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2026 წ.

განმარტებითი ბარათი

1 აღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის 15 ნოემბერს კორექტირებულ პროექტზე გაცემილია მშენებლობის ნებართვა ბრძენებით #7287995, ხოლო 2025 წლის 18 დეკემბერს ბრძენებით #7747615 გაცემილია მშენებლობის ნებართვა დასასრულებელი სამშენებლო სამუშაოებისთვის ვადის გაგრძელების მიზნით. შეთანხმებული პროექტების მიხედვით უკვე შესრულებულია კალენდარული გრაფიკით გათვალსწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი, კერძოდ I, II, III, IV, V და VI ეტაპი, დაწყებულია VII ეტაპის სამუშაოები, რომლის ძირითადი ნაწილიც უკვე შესრულებულია. დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შეთანხმებული პროექტში მოხდა ცვლილებების შეტანა და შეთანხმებული პროექტში დაკორექტირდა მცირედი დეტალები. აღნიშნულის საფუძველზეც შედგა ახალი კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისობით შესასრულებელი და დარჩენილი სამუშაოების გაწერით.

2. გრაფიკში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას. მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნებების გათვალისწინებით. სამუშაოებში ერთვებიან სხვადასხვა ბრიგადები და ნაკადური მეთოდებით აწარმოებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

3. მშენებლობის მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალსაზრისით შენობის გადახურვის შემდეგ ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორიცაა: მოაჯირების, აგრეთვე კარ-ფანჯრებისა და ვიტრაჟების ჩაყენება; საბათქაშო-მოსაპირკეთებელი, სამღებრო, პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოები, სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარსაფრთხოების ქსელები და ა.შ. სამუშაოებში ერთვებიან სხვადასხვა ბრიგადები და ნაკადური მეთოდებით აწარმოებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს;

4. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნები დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად საქართველოში მომქმედი სამშენებლო კანონმდებლობისა.

ქ. თბილისი, ნიკოფორე ირბახის ქ. №17, ნაკვეთზე, ს/კ 01.17.01.050.029.07.500 საოფისე შენობის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი კორექტირებული პროექტის მიხედვით დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე

დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე სამუშაოთა ხანგრძლივობა 4 თვე ანუ 120 სამუშაო დღე

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების რიგები და ეტაპები	სამუშაო დრეები	თვეები და სამუშაო დღეები																							
			1 თვე						2 თვე						3 თვე						4 თვე					
			5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100	105	110	115	120
	II რიგის სამუშაოები																									
VI	სახურავისა და გადახურვის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; **(კორექტირებული პროექტის მიხედვით)** (დასრულება)	75							75																	
VII	ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელები მოწყობა; გარე მოსაპირკეთებელი სამუშოები. (დასრულება)	100												100												
VIII	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	30																				30				

მითითებები: 1. წარმოდგენილი კორექტირებული კალენდარული გრაფიკის მიხედვით თვეში 30 სამუშაო დღეა, დარჩენილი სამუშოების დასრულება უნდა მოხდეს 4 თვის ანუ 120 სამუშაო დღის პერიოდში **გრაფიკში კალენდარული I თვე შეიცვალოს სამუშოთა დაწყების თვის აღნიშვნით თანახმად გაცემული ნებართვისა.**

2. გრაფიკში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას. მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნებების გათვალისწინებით. სამუშაოებში ერთვებიან სხვადასხვა ბრიგადები და ნაკადური მეთოდებით აწარმოებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია''		
თანამდებობა	**გვარი**	**ხელმოწერა**
დირექტორი	ვ. მახვილაძე	
შეადგინა	ნ. მურჯიკნელი	
ქ. თბილისში, ნიკოფორე ირბახის ქ #17, ნაკვეთზე ს/კ 01.17.01.050.029 საოფისე შენობის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე		
ფურცლები	ფურცლის #	თარიღი
3	3	თბილისი 2026

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის
ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი
(კორექტირებული)

ქ. თბილისში, ნიკოფორე ირბახის ქ#17
საოფისე შენობის მშენებლობა

თბილისი
2026 წ

ი.მ ,,ვერიკო მახვილაძე მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია''

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

(კორექტირებული)

ქ. თბილისში, ნიკოფორე ირბახის ქ #17
საოფისე შენობის მშენებლობა

დამკვეთი: შპს ,,ჰაივ მოედანი''
(ს/ნ 405731891)

დირექტორი ვ. მახვილაძე

შეადგინა ნ. მურჯიკნელი

თბილისი
2026 წ

სარჩევი

* საერთო ნაწილი 4
* განმარტებითი ბარათი. 5
* სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები
II რიგის სამუშაოები. 9
* რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები,
მექანიზმები და ინსტრუმენტები. 10
* მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების
დაცვა 11
* მომუშავეთა და ფეხმავალთა უსაფრთხოება კოშკურა ამწის
მუშაობის პერიოდში. 14
* ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები. 15
* სამშენებლო გენგეგმა; ექსპლიკაცია, მითითებები 16
* კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით . . . . -

საერთო ნაწილი

კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო:

- დავალება მოპ-ის შედგენაზე;
- არქიტექტურულ-კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაცია;
- საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- მოთხოვნილებები მოპ-ის შედგენაზე თანახმად მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მარტის დადგენილება №255, მუხლი 18 ,,მშენებლობის ორგანიზების პროექტი'' და მუხლი 20 ,,მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები''.
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ;
- ამავე დროს მუნიციპალიტეტის არქიტექტორის სამსახური ავალდებულებს დამკვეთს სამშენებლო სამუშაოთა დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სხვა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტიც.

განმარტებითი ბარათი

აღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის 15 ნოემბერს კორექტირებულ პროექტზე გაცემილია მშენებლობის ნებართვა ბრძენებით #7287995, ხოლო 2025 წლის 18 დეკემბერს ბრძენებით №7747615 გაცემილია მშენებლობის ნებართვა დასასრულებელი სამშენებლო სამუშაოებისთვის ვადის გაგრძელების მიზნით.

შეთანხმებული პროექტების მიხედვით უკვე შესრულებულია შეტანხმებული კალენდარული გრაფიკით გათვალსწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი, კერძოდ მეორე რიგის სამუშაოების I, II, III, IV, V და VI ეტაპი, დაწყებულია VII ეტაპის სამუშაოები, რომლის გარკვეული ნაწილიც უკვე შესრულებულია.

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შეთანხმებული პროექტში მოხდა ცვლილებების შეტანა, შეთანხმებული პროექტში დაკორექტირდა მცირედი დეტალები, კერძოდ :

1. სახურავზე დაემატა 7 ერთეული ორ განყოფილებიანი სქაილაითი, ჯამში 10 ერთეული.

2. გაიზარდა ორსართულიანი შენობის მოაჯირის სიმაღლე და გახდა 120 სმ, სართული #4, +11.67 ნიშნული.

3. ფასადებზე დაემატა ფრანგული მინის მოაჯირები.

4. +7.90 ნიშნულზე, დაემატა 1 ღიობი და სართული #3 დაკავშირდა ორსართულიან შენობის მეორე სართულთან.

5. +7.90 ნიშნულზე, ორსართულიან შენობაში მოიხსნა შიდა კიბის უჯრედი და ჩაისხა ფილა.

6. MEP საჭიროებიდან გამომდინარე A-D ფასადზე დაემატა ცხაურები.

7. მცირედით შეიცვალა შიდა გეგმარება.

შენობის გაბარიტული ზომები, კონსტრუქციული ჩარჩო, კიბისა და ლიფტის უჯრედები, ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალები და იერსახე დარჩა უცვლელად.

აღნიშნულის საფუძველზეც შედგა ახალი კორექტირებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით თანახმად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისობით შესასრულებელი და დარჩენილი სამუშაოების გაწერით.

მშენებლობის ორგანიზების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე, ნაკვეთზე ს/კ 01.17.01.050.029, ფართობი 13266 მ^2 საოფისე შენობის მშენებლობის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობისა და ეტაპების მიხედვით. საპროექტო ობიექტი წარმოადგენს კომპლექსის №5 შენობას. ოთხი საცხოვრებელი შენობა ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესშია.

ტოპოგეგმის მიხედვით ნაკვეთი მართკუთხა ფორმისაა, დასავლეთის მხრიდან მცირედ შეტეხილი კუთხეები. არსებული რელიეფი მცირე ქანობიანია, ყველაზე დაბალი ნიშნული მდებარეობს სამხრეთ დასავლეთით 434.8 მეტრი, ხოლო ყველაზე მაღალი ნიშნული ჩრდილო-აღმოსავლეთით 443.9 მეტრი. საპროექტო ნაკვეთი სადაც უნდა წარიმართოს საოფისე შენობის მშენებლობა ხასიათდება მცირედ დამრეცი რელიეფით, სამხრეთიდან-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით 60 გრძივ მეტრზე დონეთა სხვაობა აბსოლიტურ ნიშნულებს 437,3-438,8 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

ნაკვეთის აღმოსავლეთით ესაზღვრება დედოფლისყაროს ქუჩა, სამხრეთით ალ.წურწუმიას ქუჩა, დასავლეთით გრ. კობახიძის ქუჩა და კერძო საკუთრებაში არსებული ორი ნაკვეთი (ს/კ 01.17.01.050.017, მესაკუთრესსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი; ს/კ 01.17.01.050.011,

მესაკუთრესააქციო საზოგადოება „თელასი“). 01.17.01.050.017 მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ბენზინგასამართი სადგური, აღნშნულიდან გამომდინარე საპროექტო შენობ(ებ)ის განთავსებისას დაცულია შესაბამისი ბუფერები და გასხვისები არეალები. სამხრეთით ტერიტორიას ესაზღვრება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ს/კ 01.17.01.050.028.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნით საკვლევი უბნის და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლამ დაადგინა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და საპროექტო შენობის მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება.

კონსტრუქციული სქემით საპროექტო შენობა 9 სართულიანია, აქედან: 1 მიწისქვედა სართულია სადაც განთავსებულია საოფისე შენობის ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ტექნიკური სათავსები. ხოლო 8 სართული მიწისზედაა, თვისობრივი კონსტრუქციული წყობით შენობა ხისტკვანძებიან ჩარჩო-კავშირიან ტიპისაა, რომლის ვერტიკალურ მზიდუნარიანობას უზრუნველყოფს საძირკვლის წიბოვანი ფილა (მონოლითური რ/ბეტონის h=800მმ). საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ფუძნდება ფენა 2-ზე რომელიც მიღებულია ფუძეებად და ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - საანგარიშო წინაღობვა R0=2,5 კგ.ძ/სმ^2 , სიმკვრივე ρ=1,84გ/სმ^3, დეფორმაციის მოდული E=220 კგ.ძ/სმ^2. კარკასის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებს წარმოადგენენ მონოლითური რკ/ბეტონის, სვეტები და პილონები: ოთხი ერთეული განივი მიმართულებით და ოთხი ერთეული გრძივი მიმართულებით, ხოლო სართულშუა გადახურვა წიბოვანი, ორშრედარმირებული ფილები: h=200მმ; და h=250მმ; შენობის სახურავი ქანობიანია და გადახურვის მასალად გამოყენებული თუნუქი საფარი.

შეთანხმებული კორექტირებული პროექტით საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 13266.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 6158.18
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5331.2
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 3812.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 173.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 955.6
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 389.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 102793.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 99811.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2982.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 40.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.9

პირობით ნიშნულად ±0.00 მიღებულია პირველი სართულის იატაკის ნიშნული, რაც შეესაბამისება აბსოლუტურ ნიშნულს 436,36 მ.

დარჩენილ სამუშაოთა დასრულებაზე მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგძლივობა განსაზღვრულია 4 თვის პერიოდით (იხ. კალენდარული გრაფიკი). მშენებლობის დასრულება გეგმიურ ვადებში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ზომიერმა და რბილმა კლიმატურმა პირობებმაც.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

II რიგის სამუშაოები:

VI ეტაპი - დასრულება - სახურავისა და გადახურვის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; (კორექტირებული პროექტის მიხედვით)

VII ეტაპი - დასრულება - ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; გარე მოსაპირკეთებელი სამუშოები.

- მშენებლობის მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალ-საზრისით დახურვის შემდეგ შემდეგ ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორიცაა შიდა და გარე საბათქაშო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები, იატაკების მოწყობა, სამღებრო, პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოები, სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარ-უსაფრთხოების ქსელები და ა.შ. სამუშაოებში ერთვებიან სხვადასხვა ბრიგადები და ნაკადური მეთოდებით აწარმოებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს.

- როცა შენობა დახურულია და კედლებიც შევსებული აღნიშნული სამუშაოების განხორციელება სირთულეს აღარ წარმოადგენს.

- გარე სამაღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის რეკომენედებულია ქარხნული წარმოების ვერტიკალური სახარაჩო სისტემების გამოყენება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

VIII ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები

ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავ-რებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე.

ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე, ორგანიზაცია უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ ტექნიკური პერსონალით.

სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმების და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით, შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

2. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

2.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალ
1	2	3	4
1	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის შემოსატანად	სხვადა-სხვა	2
2	ექსკავატორი ჩამჩის ტევადობით 0,5-1 მ^3 ტევადობით.	–	1
3	სიღრმითი ვიბრატორი	C-3698	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	C -697	1
5	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1

6	შესადუღებელი აგრეგატი	CO-48	1
7	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	CO-89	1
8	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	CO-54	1
9	კოშკურა ამწე ისრის შვერით 40 მ	COMANSA 5LC4010	1
10	სამშენებლო საწველა ტვირთამწეობით 320 კგ ტვირთის სიმაღლეზე აწევით 40 მ-მდე	–	1
11	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ	2
12	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ	1
13	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპ	4

2.2. **რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები საჭიროებისამებრ შესაძლოა შეიცვალოს ანალოგი-ურით ან უფრო თანამედროვეთი.**

3. მშენებლობაზე შრომისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესა-ბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი ,,მშენებლობის უსაფრთხოების წესები“ (დამტკიცებული საქარ-თველოს მთავრობის 27.05.2014 წ. #361 დადგენილებით.) და სნ და წ. ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამის-ობით.) კერძოდ:

3.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

3..2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

3.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

3.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთო-ბების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

3.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

3.6. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

3.7. საყალიბე ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

3.8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექ-ნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

3.9. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომა-რეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

3.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტრო-ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

3.11. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედა-მხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორ-

მატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

3.12. ამწე საწეველების, ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

3.13. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია.

3.14. აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

3.15. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების „სიმაღლეზე მუშაოების უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ" აუცილებელია მიწისზედა სართულების ამოყვანისას შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შენობის სართულის კონტურებზე თუ კედლები და ღიობები შევსებული არ არის, მაშინ აივნებისა და შენობის გარშემო კონტურის გასწვრივ დადგენილი კონსტრუქციული ფორმით არმატურის დგარებითა და ძელებით უნდა იყოს მოწყობილი გადავარდნისაგან დამცავი მოაჯირები #477 დადგენილების მუხლით 5-ის მოთხოვნილებათა დაცვით;
- ასევე კიბის მარშებისა და ბაქნების გვერდულებიც უნდა იყოს დაცული დგარებად გამაგრებული არმატურის ღეროებისა და სახელურებით მოწყობილი დროებითი ჯებირებით დადგენილების

№477 მოთხოვნათა შესაბამისობით, მოაჯირები მათი სიმაღლეებით 90 - 120 სმ ფარგლებში.

❖ მუშები უნდა ატარებდნენ ჩაფხუტებს. სამშენებლო პროცესებში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალსაც თავზე უნდა ეხუროთ ჩაფხუტები.

❖ მოწყობილი უნდა იყოს სახანძრო სტენდი ცეცხლ-ჩამქრობებით და საჭირო ხელის იარაღებით.

❖ მავნე და ფეთქებადსაშიში მასალები ობიექტზე უნდა ინახებოდეს სპეციალურად დაცულ სათავსოში.

❖ სართულებზე წყალკანალიზაციის მილების ჩასაწყობად დატოვებული ღიობები გადახურული უნდა იყოს ხის ფიცრული ხუფებით.

3.16. ასევე სამშენებლო მოედანზეც უნდა მოეწყოს გამაფრთხილებელი ნიშნები და დაცული უნდა იყოს ნორმატივები მომუშავეთა ყოფნის, გადაადგილების გათვალისწინებით ამწის მუშაობის პერიოდში, სართულის კიდეებზე მუშაობისას შენობის მოშორებით იდგმება და იჭიმება ლენტი და ა.შ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილებისა №361 „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ.

4. მომუშავეთა და ფეხმავალთა უსაფრთხოება კოშკურა ამწის მუშაობის პერიოდში

4.1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია.

4.2. ისრის ტრიალი მშენებარე შენობის გარეთ იზღუდება ნახაზზე მითითებულის ფარგლებში. ტვირთის აწევა გადახურვამდე უნდა მოხდეს ავტოტრანსპორიდან შენობის ვერტიკალის გასწვრივ,

შემდეგ გადახურვის თავზე გადავლებით სამუშაო ადგილამდე მიტანა, დაშვება და განტვირთვა.

4.3. იკრძალება ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება ქუჩის და სამეზობლო ნაკვეთების მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.

4.4. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია მშენებლობის აღჭურვა ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით.

5. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

5.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

5.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვირს გაბნევა სელიტებულ ზონაში.

5.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

5.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

5.5. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისად.

ცხრილი გრაფიკული ნაწილის

მ 1 : 500

1	ნაკვეთის საზღვარი
2	არსებული საცხოვრებელი სახლი
3	ახალი მშენებლობა
4	ახალი მშენებლობა
5	არსებული მშენებლობა
6	არსებული ხეები

- ნაკვეთის საზღვარი
- ახალი მშენებლობა
- არსებული მშენებლობა
- არსებული შენობა-ნაგებობები
- ახალი მშენებლობა
- ნაკვეთის საზღვრის მიმართულება

01.17.01.050.029

01.17.01.050.017

#1

#2

#3

#4

#5

485000

4615600

Aleqsandre Wurwumias quca

nikifore Cxbaxis quca

gr.rob.kobaxidis quca

gr.rob.sabaSvilis quca

maya. rtoma. samSeneblo nagavi

maya. rtoma. samSeneblo nagavi

N

W

E